ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4311560

ნომერი: AR1649947

თარიღი : 12.12.2018

გაცემის თარიღი : 20.12.2018

გაცნობის თარიღი : 20.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საკოლმეურნეო მდელო N1ა (ხიზაბავრის ქუჩა); ქალაქი თბილისი , საკოლმეურნეო მდელო N1ა (ხიზაბავრის ქუჩა); ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი , ნაკვეთი 19/126; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი , ნაკვეთი 19/127; ქალაქი თბილისი , ქერჩისა და ხევძმარის ქუჩების შემაერთებელი გზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გია ჯანაშია პ/ნ 01001067658
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 21 ბ. 133

ორგანიზაცია:
- შპს "გარანტი" კოდი: 400158235

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 12 დეკემბრის N AR1649947 განცხადება, 01.11.12.019.121 01.11.12.019.123 01.11.12.019.126 01.11.12.019.126 01.11.12.019.127 01.11.12.019.128 მიწის ნაკვეთებზე სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე, ხოლო, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მუხლი 8–ის (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპები და შემადგენლობა) მეორე პუნქტის „ბ“ , ,,გ“ ქვეპუნქტების თანახმად, ვინაიდან იგეგმება გაუნაშენიანებელი ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება, იმისთვის, რომ არ მოხდეს მიმდებარე ტერიტორიის ქაოტური განაშენიანება საჭიროა მისი სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში, რომელიც დაადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.